F 85
1915

№ 4

1 თებერვალი 1915 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

5 მან.

F 652

† აკაკი წერეთელი (1840–1915 წ.)

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ: 1. აკაკი.—დ. კასრაძისა. 2. მოგონება.—ეკ. გაბაშვილისა. 3. ჩანგი დაიმსხვრა. —ინ-ბანისა. 4. ამის სურათი.—აკაკისა. 5. სამგლოვიარო დეპეშები. 6. გამოქცეულები.—რ. გ-ესი. 7. ჩვენი ცხოვრება.—რ. ფავლენიშვილისა. 8. გადმოხიზნულები.

ᲐᲚᲐᲚᲘ

საჩხერედან მოსულმა დეპეშამ ფრიად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა: გარდაიცვალა ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი, საყვარელი მგოსანი **აკაკი**. მართალია, ამ ამბის შესახებ უკვე ნიადაგი მომზადებული იყო, ისიც მართალია, რომ მთელი თვის განმავლობაში ყოველ ფერი ვიცოდნეთ, ყველას გონების თვალი საჩხერესკენ იყო მიპყრობილი და სულ-განაბული უცდიდა ახალ ახალ ამბებს, მაგრამ... მისი მძიმე ავადმყოფობა უფრო რთულ პროცესს ეძლეოდა, ჰაერში იდუმალი შიშის ტრაენტელი გამეფდა და აბა, აღსრულდა! ოცდაექვს იანვარს სამუდამოდ გამოგვესალმა ჩვენი ცხოვრების მესაიდუმლე, მთელი მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი კულტურისა და წინსვლის სინტეზი, კაზმულ ლიტერატურის მოკაშკაშე ვარსკვლავი, რომლის მზგავსი საქართველოს ერთიც არ ახსოვს, თუ ნეტარ თამარის ოქროს ხანის გვირგვინს, სიდ შოთას არ მივიღებთ მხედველობაში. ეს დანაკლისი მით უფრო გაასკეცდება, თუ გავიხსენებთ ჩვენს დღევანდელს ყოფა-ცხოვრებას, ჩვენს აწეწ-დაწეწვას, დღეს უფრო, როდესაც გვჭირია გამოცდილი მესვეური, რომელიც გვიხსნიდა დაქსაქსულობისაგან და მამობრივი სიყვარულით და რჩევით მოახდენდა ჩვენს აზრთა და ძალთა შეთანხმებას და შედეგებას! აკაკი კი მთელს თავის სიცოცხლეში ის სულმნათი ოქრომჭედელი იყო, რომელიც ჯადოსნურ ლითონით ლექსთა წკრიალა რგოლებს სჭედდა და ნარნარი სხივებით ჰქსოვდა იმ საუცხოვო შესარიგებელ პლატფორმას, რომლის სახელწოდებაც **სამშობლოს** სიყვარული იყო, ჩაფხუტ ჩამოხრილი პატარა საქართველო!

წარჩინებული გვარის შვილი, წოდებით თავადი, სულით ფაქიზი და აღფრთოვანებული ჩვენი მგოსანი დაიბადა დაბა საჩხერეში 9 იანვ. 1840 წ. სოფლის კეკლუცი მდებარეობა, მწვერვალთა ხრახნილები, ველთა ნარნარება და ფირუზოვან ჩარდახ გადმოხურული ხევ-ხუვები ჩხრიალა ნაკადულებითურთ პატარა კაკოს დედის ძუძუსთან ერთად ასაზრდოებდნენ სიმკვირცხლეს, სინაზეს და მშვენიერებისადმი მისწრაფებას. რვა წლამდინ სოფელში რჩება. სოფელია მისი აკვანი, მისი სულიერი და ფიზიკური გამფურჩქვნელი, დალოცვილ ჯანმრთელობისა და სილამაზის ამყვავილებელი წყარო. აკაკი ცელქობს. აკაკის ყოველისფერი აინტერესებს. გლეხის ოჯახი, კალო-საბძელი, გუთანი, ბაღები, ტოლებში სირბილი, დიდი ადგილების ზღაპრებისა და ამბების თხრობა.—აი ის აღზრდითი პირობები, რომელთაც კეთილი ზეთისხილის შტოს ყვავილი გამოიღეს მის მომავალ ბედის გარდასაწყვეტად. მართალია, დედაც ხელს უწყობს აღზრდაში, ასწავლის წერა კითხვას, უფრო რუსულს, როგორც იმ დროს იყო მიღებული, ისიც მართალია, რომ ბევრიდან ბევრს ამბებს მოუთხრობდა თავიანთ საგვარეულოს სიდიადეზე, სოლომონ მეფეზე, ჩვენს წარსულზე, მაგრამ ამან იმდენად იმოქმედა კაკოს სულის გაფურჩქვნაზე, როგორც ხალხთან დაახლოვებამ, გლეხის მაშვრალ კერასთან ტრიალმა, ხალხურ გენიოსობის შეუმჩნეველმა დაწაფებამ, ეს იმ გენიოსობის დაწაფებამ, რომელიც შადრევანსავით მოსჩქეფს და აკაკისებურ რჩეულ შვილთა უბეს ავსებს ხელოვნური მარგალიტებით.

რვა წლის კაკო მიაბარეს ქუთაისის გიმნაზიაში. აქედან იწყება მისი დამახინჯების პერიოდი. ჯერ იყო და მამა, როგორც ეპოლეტებისა და ჩინმედლების მოტრფიალე, ბავშს სულ თოფ-ზარბაზანზე ჩასჩურჩულებს, საგვარეულოს გაზვიადებას, ჰსურს, აქეთკენ გადმოჰხაროს ბავშვის გულისყური. ეხლა თუ გავიხსენებთ იმ დროინდელ გიმნაზიის რეჟიმს, სადაც „წკეპლა“ მეუფებდა, მაშინ დავინახავთ, რომ აკაკი უფრო ნორჩ სულთა საჯალათოში იწვრთნებოდა, ვიდრე მეცნიერების ტაძარში. თუ მადლიან სოფელის მიერ შედუღებული და დიადი ბუნება არა, ვინ იცის, იქნებ სამარადისოდ ხელიდან გამოგვცლოდა საყვარელი მგოსანი. ვისაც წაუკითხავს მისი „თავ გადასავალი“ ეს სამწუხარო, ერთგვარი დაუსრულებელი მგოსნის დღიური, მას წარმოუდგება ამ პერიოდის საშინელება, რომელმაც კინალამ ჩააქრო მისი დიადი სულიერ ლვთაებრივი სანთელი. რვა წლის განმავლობაში აუწე

რელის მოთმინებით იტანს სულის შეძხუთველ მარწუხებს, რვა წლის განმავლობაში იტანს სატანჯველს, აი, ოთხი თვეც უკლია... ცოტა .. ცოტაც და მორჩება... მაგრამ ამაყმა სულმა ველარ შესძლო, შეხუთული ფრთები გაშალა, ბოლომდე ვერ გამოსცალა ამგვარი შხამის ფიალა და თავისუფლებისაკენ ვაჭარა დეზი! ეხლა ყრმა კაკო ესაზღვროდ ბედნიერად ჰგრძნობს თავსა, თითონვე უნდა გზის გაკვლევა... დაუყონებლივ ილტვის ქუთაისიდან და პეტროგრადში ამოჰყოფს თავსა, სადაც კანტი-კუნტად მოედინებოდა ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობა. ცხოვრების უმწიფო შვილი, სრულებით გამოუცდელი, ბედის ანაბარად რჩება, ჰსურს ერთგვარი ლიტარია მოატრიალოს, რომლის ისარი მუდამ სამხედრო მუნდირზე მიუთითებდა. მას ჰსურს მხრები ეპოლეტებით დაიმშვენოს. ამისთვის კი ერთგვარი ნიადაგი უკვე მომზადებული იყო. ჩვენი ახალგაზრდობა უმთავრესად ჩინ-მენდლებზე იყურებოდა. ეს არც ისე გასაკვირველი იყო. იმ როს ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო ომ ს ზახიანი ხმა. ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხე ჰბორგავდა, ვიდრე ყოველი სამთავრო რუსეთის ანექსიაში შევიდოდა. აქა-იქ ყოველდღიური აჯანყება, ამბოხება შინ, ამბოხება გარეგ, სპარსეთ-ოსმალეთის აოლაგმელობა ეი ყველა ის ბიზეზები, რომელიც ხმალ-კაბარეზე აფიქრებინებდა ძალ ლონით სავსე ჩვენს არწივ ახალგაზრდობას! სამშობლოს სამსახური, – აი მათი დევიზი! ყველანი ერთურთის მოწინააღმდეგე ბანაკთა გასამარჯვებლად იწვრთნებოდნენ, ზოგნი აჯანყებულთ, ზოგნი რუსეთის მომხრეთ, მაგრამ არა ღალატით, არამედ სრულის რწმენით, თვითეული მათგანი გულწრფელად დარწმუნებული იყო, რომ ამ გზით სამშობლოს დიდს სამსახურს უწევდნენ, მის გაფურჩქვნას და კეთილდღეობას ემსახურებოდნენ. შესაძლებელია აკაკიც ერთ-ერთ ჯგუფს ეკუთვნოდა, ამგვარი სტიქიით იყო გატაცებული, შეიძლება ისიც, რომ ფანტაზიის კეკლუცა პერსპექტივებში თავის სამშობლოს მხსნელ რაინდად წარმოედგინა თავი! ეს კია, რომ უზომოდ სწყუროდა სამხედრო სასწავლებელი. თუ პეტროგრადში მყოფი ჩვენი ახალგაზრდობა არა, ვინ იცის, მას თავის ოცნებისათვის მიეცა გზა. მაგრამ აქ მოხდა სასწაული. ჩვენი ახალგაზრდობა დაბეჯითებით სცდილობს, რომ მისი ნიჭი არ ჩაიკლას. მათი მეოხებით აკაკი გაეცნობა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციას, ეზიარება მის აზრებს, თავისუფლების წყურვილს ღრმა სევდა მოიცვამს, ესაზღვროდ მოკაეშნე კარს ჩაიკეტავს, დაუკვირდება სინამდვილეს და გონების თვალით განსჭვრეტს მეოცნებე ჭაბუკის იდეალთა უსუფრობას. იგი მიხვდება, რომ საქართველოს ზურნის ჭიჭყინი და ბოკნალარის ხმა სამუდამოდ შეწყვეტილია! გაჭრა დამოუკიდებლობის დრო! დადგა საშინელი მომენტი, როდესაც საქართველო ვერ გამოსჭედავს საკუთარ სახელით თავის დამოუკიდებლობის ფოლადის მახვილს! ჩვენ გმირთა ფარ-შუბი ველარ დაიწყებს გულის ამყეთქებელ საომ წკრიალს! რომ ქართველ გმირთა ყივილი საქართველოს ძლევის დროშის ქვეშ ველარ გახდება მთა და ბარად! არა, ყველა ამის დრო წასულია! ეხლა გვჭირია სხვა ფოლადი, სულ სხვა მახვილი! და აი, აკაკის მოწოდების ალიოლ ილვიძებს. ყრმა გულის სულიერი ბრძოლა სხვა ჰორიზონტისკენ გაჭრავს ფრთებსა! მისი გული გაიჭიმება სამშობლოს სანუკვარ ზურმუხტოვან ველად, სადაც მინდვრის ყვავილთა ნარნარებით მრავალფეროვნად აფრიალდება საქართველოს წამებული და დაფხრეწილი დიადი დროშა! არა, აკაკი ველარ წავა ტლანქიარალის შესაჭირველად! ის უნდა გახდეს ჩვენი კულტურის აშენები და გამფურჩქნელი ფერმენტი! ის ბნათე იქნება... დაუმონებელი მებუკე... და აი, აკაკიც უშველებელ ნახტომს აკეთებს და სამხედროდან პირდაპირ უნივერსიტეტში, აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე შედის, სადაც მისი აზრით, შეეძლებოდა საჭირო ცოდნის შეძენა, რომ სამშობლოს მომზადებული სახით დაჰბრუნებოდა.

უნივერსიტეტიდანვე იწყება მისი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. 1858 წ. თვრამეტი წლის კაკო ჰგზავნის ჟურნალ „ცისკარში" ლერმონტოვის „პალესტინის რტოს". ოთხი წლის განმავლობაში, მ.ოთლიაც, საუკეთოოდ ემზადა, თავის სპეციალურ საგნების გარდა არა თუ გაიცნობს რუსეთის მწერლებს, ზედმიწევნითაც შეისწავლის, განსაკუთრებით პუშკინს და ლერმონტოვს, აგრედვე ჩერნიშევსკის, ბელინსკის, დობროლიუბოვს, პისარევს, ტურგენევს და სხვა.

რა იყო ამ დროს საქართველო? მეტად უფერული რამ, მისი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება სრულს სიკოტრემდე ჩამოვიდა. ბატონ-ყმობის ძალმე ულელი ჰსრისავდა ჩვენს გლეხ-კაცობას. ჩვენი მწერლები კი აღმოსავლეთურ ჰანგებს იქით არას ხედავდნენ და არც თუ სურდათ დანახვა; საქმე ის იყო, რომ ამ მხრითაც არ სჩანდა ორიგინალობა. ერთად-ერთი ნიკ. ბარათაშვილი იყო, რომელმაც ევროპიულ ჰანგებს გაუღო კარი, მაგრამ მეტად ნა-

ადრევად ჩაჰქრა, რომ თავის მოწოდებისთვის ბოლომდე აღლო ალღო და ეს პროცესი როგორმე დაესრულებინა. ამიტომ არის, რომ მის პოეზიას არ ეტყობა სრული განთავისუფლება, მიუხედავად მისი გენიოსური ალმაფრენისა, მაინც სპარსულ „ვარდ-ბულბულიანის“ არტახებშია შებოჭილი. ამ მიმდინარეობის შეჩერება წილად ხვდა აკაკის. იგი სუმბუქი ნელის ნიავ-ქაროობით გამოაქროლებს აპოლოს მზიურ ხომალდსა. მისი მეტყველება არ მოსწონთ მამებს, მათ ეუცხოვებათ ეს სისუმბუქე; ძველს, ჩაქუჩსავით მძიმე ფოლადის ენის შეჩვეულ სმენას არაფრად ეპიტნავებოდათ აკაკის ჰაეროვანი წკრიალა პოეზია, რომელიც თერგსავით კი არ მოჰქუხდა, არამედ ზეფირის სუმბუქი შრიალით მოისმოდა, თითქოს შუალამისას მთვლემარე წყარო მოსჩუხჩუხებს მთვარის შუქში მოტივტივე ნაძვის ხეებს საამო ზღაპრებს მოუთხრობსო. რაღა თქმა უნდა, ამას ვერ აპატიებდნენ ჩვენი „მამები“, რომელთაც სამკვდრო სასიცოცხო ომი გამოუცხადეს თერგ დალეულ შვილებს, რომელთა რიცხვში ითვლებოდნენ ილია, ნიკოლაძე და სხვები.

თქმა არ უნდა, აკაკი მარტო პოეზიის ქურუმად არ დარჩებოდა. ჯერ დღესაც, როდესაც ასე თუ ისე მოვმწიფდით და შეიძლება ერთგვარი დიფერენციაცია მოვახდინოთ, ვერ ავცდით ენციკლოპედისტობის საჭიროებას, ასე რომ ჩვენი ლიტერატორი ერთსა და იმავე დროს პოეტიც უნდა იყვეს, სოციოლოგიც, ეჭიმიც, მხატვარიც, პუბლიცისტიც და არა თუ პუბლიცისტიც, ხშირად მეჩექმეც კი, რომ შიმშილით არ მოკვდეს და თან ((ხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხებსაც ჯეროვანი პასუხი გასცეს. რა თქმა უნდა მაშინ, ეს ადვილი წარმოსადგენია, აკაკისაც უხდება მრავალ ფეროვანი მუშაობა. იგი დატრიალებს, ოავის მადლიან მოჭარბებულ ენერგიას უზომოდ ხარჯავს და აი, მას ვხედავთ თითქმის ყოველ დარგში. თავის ტემპერამენტით იგი არა თუ საუცხოვო მგოსანია, თვით პუბლიცისტიც, მოპოლემიკე! ხან მერცხლის ენით შეგასმენს „გაზაფხულს“. ხან მთელს მიმდინარეობას ეწინააღმდეგება, ილაშქრებს, არღვევს, ხან იცავს, ხან კიდევ მთხრობელია, ოხუნჯობს, აფორიზმებს აბნევს, მხატვრობს... კრიტიკოსობს... სწრაფი იუმორი და გესლიანი ირონია („ცხელ-ცხელი ამბები“), დამცველი და ბრალმდებელი... დაუღალავი საქმიანობა და მოუსვენრობა, – აი ძისი მოღვაწეობის უმთავრესი ხაზები! არ არის არც ერთი დაწესებულების დარგი, სადაც მას არ შეეხვედნოს, ვაი მას ვისაც წაეკიდებოდა! არ მოეშვებოდა, ვიდრე კუდით ქვას არ ასროლინებდა! მაგრამ ეს რაა, შინაურებთან გამკლავებას როდი ჰკმაროობდა, საჭირო იყო უფრო მაღალ სფერულში გადასვლა. როგორც სამშობლო ენის ფერხილ დარაჯი იგი მოურიდებლად კამათობს, სჩივის, აკრიტიკებს საშინელს რეჟიმს და მოითხოვს სამშობლო ენის უფლებებს! ახლა დაუმატეთ ზღაპრებისა, ხალხური ლექსების, იგავების კრება, შემდეგ თეატრი, ჟურნალ-გაზეთობა, ბანკი და ათასი სხვა რამ და მაშინ წარმოიდგენთ აკაკის ღვაწლის სიდიადეს, მის მრავალ ფეროვან ნიჭს, მის უკვდავ მადლსა!

მაგრამ უდიდესი ღვაწლი, როგორც ზემოდ გაკვრითა ვსთქვით, ეს გახლავსთ ენის გაფაქიზება, გასუმბუქება. ყმაწვილობითვე შეყვარებული ბუნება მის ნაწარმოებში საოცარ განსახიერებას ჰპოულობს. აიღეთ სანიმუშოდ განთიადის აღწერილობა, პოემიდან „თორნიკე ერისთავი“ და მაშინ, მხოლოდ მაშინ წარმოიდგენთ ჩვენი ქურუმის ჯადოსნობას! თქვენ დაინახავთ თუ მისი გრძნობა, ბუნების წიალში ჩაწდომა როგორი სიდიადით მოუხერხებია, რომ მისი სიკეკლუცე მზიურ დღესასწაულის ჰიმნით აგვიწერა! მისი მხატვრული ოცნება ახალ მითოლოგიად გადაგვეშალა და ღმერთებს დაშორებულთ მოგვაწყურა ახალ ღმერთების ხილვა! რომელთა ქვეშაც კვლავ სამშობლოს სახელი იქმნებოდა წარწერილი სხვა და სხვა სახით, სხვა და სხვა ფერადებითა („პატარა კახი“, „ნათელა“, „თამარ ცბიერი“, „თორნიკე ერისთავი“ და სხვა)! ჩვენი საბრალო ენა, რომელიც არც ერთს სახელმწიფოში არ ისწავლება და თვით ჩვენს მამულშიაც ხშირად შეურაცხყოფილია თვით ჩვენგანვე, აკაკის წყალობით იპყრობს სხვა ერთა ყურადღებას, მის ნაწარმოებს სთარგმნიან, აღტაცებაში მოდიან! თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გატყავებული აპოლონი თვით კუზიან და მახინჯ ეზოპზედაც უმსგავსად გამოიყურება, მაშინ ერთი ათად მნიშვნელოვანი გახდება აკაკის პოეზია, როდესაც მხურვალე გამოძახილს ჰპოვებს ყოველგან თვით ამ „გატყავების“ შემდგომაც კი! საყოველთაოდ შორს გასული მისი სახელი შემთხვევითი როდია: ამას თვით ჯინიანი ფორტუნა მოითხოვს. აგი ფერია აპოლოს მოუხმობს და მისი მზიური ეტლით მოტაცებულ მგოსნის სახელს ერთი ქვეყნიდან მეორეში მიაქროლებს! აკაკი მგოსანთა იმ ჯგუფს როდი ეკუთვნის, რომელნიც მგოსნობით იბვეჭენ სახელს, არა! იგი თვით **მგოსნობასა ჰქმნიდა** და სწორედ ეს არის მისი

ინგლისის „მფრინავი“ სასანიტარო რაზმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიდესი ღირსება! მისი მასწავლებელი ერთად-ერთი შოთაა და ხალხური დაუშრეტელი გენიოსობა, რომელიც თვით მის დიდებულ აღსრულებამდე საუკუნოვო ფერადებს აწვდიდა ხელთუქმნელი პალიტრიდანა...

რუსები პუშკინზე ამბობენ: „პუშკინი ჩვენი ავლადიდება არისო!“ თუ ეს შეუძლიანთ ნაკლები იურიდიული უფლებით სთქვან პუშკინზე, მით უფრო სრულის უფლებით შეგვიძლიან ვსთქვათ ქართველებმა, რომ ჩვენი ქურუმი, მართლაც, მთელი ჩვენი ავლადიდება იყო! როგორც დიდებულმა მოძღვარმა გვიჩვენა გზა, შეჰქმნა მიმდინარეობა და აჰა, როდესაც მოიქანცა, ნელა მისდო განსასვენებელ ყურთუკზე თავი და „დამშვიდებით მიიძინა“. ბედნიერია მგოსანი, რომ სამარადისოდ მორჩა ტანჯვას, მაგრამ უფრო უბედნიერესი იქმნება, თუ მისი გული, ახალგაზრდა საქართველო, მის ნაამაგარს და ნაჭირნახულევს კეთილგონიერად მოიხმარს და შეიყვარებს მას, რასაც ჩვენი მხცოვანი მწყემს-მთავარი დიდი ქურუმი თავის ღმერთ-ხატად ისახავდა; სამშობლოს, სამართლიანობას და... შრომის სუფევას!..

დ. ქასრაძე.

მოგონება

(აკაკის ანდერძის სიფუძვლიანობის გამო)

1884 წ. გრიგოლ ორბელიანს ასაფლავებდნენ დიდის ზეიმით და პატივისცემით. მთელი ქართველობა ფეხზედ იდგა და სცდილობდა უკანასკნელი სალამი გრიგოლისადმი, გრიგოლის ნიჭის შესაფერად მოეწყო. რასაკვირველია, ქართველი ქალებიც მხურვალე მონაწილეობას ვიღებდით და შავებით მოსილნი, დაფნის გვირგვინებით ხელში გრიგოლის სახლის წინ ვიდექით და ცხედრის გამოსვენებას ველოდებოდით.

აკაკის ქალები არ უყვარდა, თუ ,,ყვარდა ღმერთმა იცის, (ამის შესახებ თავის ნაწერებში არა-

ფერს ამბობს) მაგრამ ის ყოველთვის მაინც ქალების მხარეზედ იდგა ხოლმე და მაშინაც ქალთა ჯგუფში შემოვიდა და თავისებურის მწვავე ღიმილით გვითხრა: „აი ეგა ვართ ქართველები, მანამ ცოცხალია ჩვენი მოდვაწე ჯვარს ვაცმევთ, ვაწამებთ, შურით თვალსა ვთხრით, შიმშილითა ვკლავთ და როცა მოკვდება ყვავილებით ვამკობთ და საიქიოს დიდის ზეიმით ვისტუმრებთო. ოჰ, თუ მეც როდისმე ვიქნები გრიგოლის დღეში და ჩემს გარშემო შეკრბებიან ფარისეველნი, საფლავიდან წამოვიჭრები და ვით ქრისტემ იერუსალიმიდგან სიდუკეველნი მათრახით გავრეკავო“.

ამაზედ მე სიცილით მივუგე: ღმერთმა ნუ მოგვასწროს შენ სიკვდილს, ჩვენო აკაკი, თორემ მაშინ შენ ვინღა გკითხავს საით წაგიღებთ და როგორ გიტირებთ მეთქი. მამულს მიქცა ზეცამა და ცოცხალიც და მკვდარიც ერის ღალადს უნდა ემორჩილებოდე მეთქი.

და აი კიდეც აღსრულდა ჩვენი ნათქვამი. აკაკის ანდერძი ხალხმა უარჰყო და თავის სურვილისამებრ დიდის ზეიმით ასაფლავებს.

ეკ. გაბაშვილისა.

ჩანგი დაიმსხვრა!

(აკაკის ხსოვნას)

ივერიის შვილთ ერთად თავი მოეყარათ და დუმილს მისცემოდნენ: ვინმე მოხუცი სანტარო წარსულის ამბებს მოუთხრობდა.

მზე ჩადიოდა და მაშვრალ ქვეყანას მისუსტებულს სხივებს უგზავნიდა; ცის ტატნობი სისხლისფერად შეღებილიყო.

მოხუცს სახე გაბრწყინებოდა, ხელთ ჩანგი ეპყრა და სევდიანათ აჟღერებდა; თოვლივით თეთრს თმას ნიავი უთამაშებდა.

მსმენელთა თვალწინ საარაკო სურათები იხატებოდა.

— გარეთ ვაჟკაცი, ეუბნებოდა უცხო მოხუცი, — მძვინვარე მტერსა ეკვეთებოდა, სისხლით ჰფერავდა თავის ხმალსა, მამაცის მკლავი არა დგებოდა: თავისუფლება ან სიკვდილიო, გმირი ჰყიოდა. შინ დედა ნანას ეუბნებოდა თავის პატარას, ყურს აწვეთებდა რაინდის ზნესა და მშობელ ქვეყნის სიყვარულსა გულს უნერგავდა...

მოხუცს ხელი აუცახცახდა.

მზემ უკანასკნელად გადმოსტყორცნა ქვეყანას ალისფერი ისრები და ჩაესვენა. მიდამო ბინდმა მოიცვა; ვარსკვლავებმა ბჟუტვა დაიწყეს.

მოხუცი შეკრთა და ხელიდან ჩანგი გაუვარდა.

— ჩანგი დაიმსხვრა! — წამოიძახა გულსაკლავათ ერთმა მსმენელმა.

— ჩანგი დაიმსხვრა! — გაიმეორეს სასოწარკვეთილებით სხვებმაც.

მოხუცი მიიმალა.

ჩანგი დაიმსხვრაო! ჰგოდებდნენ მწარედ ივერიელნი.

უცბად ღამის წყვდიადში ბულბულის ნაზი ხმა გაისმა და ყველანი სმენად გარდაიქცნენ.

მალე მთვარეც ამოტივტივდა ცაზე და გარშემო მქრალი შუქი მიმოაბნია.

ჩანგის ნამსხვრევები არსადა სჩანდა. იქ, სადაც ჩანგი დაეცა, წყაროს ამოეხეთქნა და წანწკარით გადმოდიოდა. ცელქობდა, მარგალიტებს ათამაშებდა. წყაროს ნაპირას ვარდის ბუჩქი ამოსულიყო, თავს ბულბული დასტრიალებდა და ყვავილთა ტურფა მეფეს ეალერსებოდა.

ინ-ბანი.

ომის სურათი

(თარგმანი ერისთავიდან)

უთა ეთერი, მზეთ უნახავი,
საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს,
სახეს ვარდის ფრათ ილებავს გრძნობით
და იელვარებს სურვილით თვალებს,
ისე განთიადს ცისკრის ვარსკვლავი
ლაჟვარდ ცაზედა კაშკაშით თრთოდა
და ფერ-მიხდილათ ნათელ-ძლიერი
მზისა ამოსვლას ეშხით შეჰყრფოდა.
თითქოს ქვეყანაც, მით მოხიბლული,
გამსჭვალულიყო მის თანაგრძნობით
და უგალობდა „ციურ ნანინას“
საიდუმლო და უცნაურ გზობით.
სუნნელთა მფენი დილის ნიავი,
ბალახთ ბიბინი, ფოთოლთ შრიალი,
ბანსა აძლევდენ ღვთიურ ნანინას
და ათანხმებდა მათ ძალთა-ძალი.
ციური ნიჭის მისაღებელათ
ვარდმა კოკობმა თავი ახარა;
ცრემლათ დაეცა გულზე მანანა,

ააელფერა და გაახარა!...
თურმე ბულბულიც ამას უცდიდა:
თავისებურათ იწყო მან სიმღერა,
თითქო უნდოდა მით მოეტანა
ცოდვილ-ქვეყნისთვის კეთილი ზენა.
მაგრამ ამ დროს საზარელი ხმით
უცბად რაღაცამ დაიგრიალა
და მით სიხარბემ ჯოჯოხეთისამ
გამოიჩინა ბოროტი ძალა;
შეიქმნა ბუკის, საყვირის ცემა,
ატყდა ჭიჭყინი ზურნის საზარი...
აჰა თენდება და ემზადება
სისხლას სათხევლათ ორივე ჯარი!...
  მაღლით ბრძოლის ველს, როგორც ხელის
  გულს
ისე დაჰყურებს მთავარ-სარდალი;
წალმა, უკულმა, მარჯვნივ თუ მარცხნით
ყოველი მხრისკენ სჭრის მისი თვალი.
მოწინავე ჯარს, ტყურფათ დარაზმულს,
ოთხი ათასსა დაჰყურებს ჭაბუკს,
მხოლოთ იმ წამის მოლოდინესა,
როდესაც დაჰკვრენ ნალარას და ბუკს,
ფარ-ხმალით ხელში, გახურვებულებს,
ძლიეს-ღა უჭერენ თავს ბედაურებს:
ჭიხვინ-ხვიხვინით, ტორების ცემით,
ძუა-ფაფარ-შლით აცქვეტენ ყურებს.
თითქოს იმათაც სული მიუდისთ,
რომ მიიტანონ თან იერიში
და, როგორც იმათ მხედრების გულში,
ისე არც იმათ გულშია შიში!
თავში უდგია რაზმს ორბელიძე,
ჯერ ახალგაზდა გმირი სარდალი,
და იმან იცის, თუ როდის ატყდეს
ბრძოლისა ცეცხლი და ომის ალი.
შორს მათგან, მარჯვნივ, ქვეითი ჯარით
მოფენილია მთლად ტყე და ველი:
საფარში აჯენს შორ-შორ გაფანტვით,
მტრისა სამიზნოთ მათ გამრეკელი.
და მარცხნივ, სადაც შფოთვით, ღრიალით
მიექანება ჰალის მდინარე,
სავარსამიძის დამდგარა ჯარი,
ფარ-ხმალ, ჯაჭვ-ჯავშან-შუბ მოელვარე.
ჯავშანიძე-კი მხოლოდ-ღა ერთი
ალარსადა ჩანს, აქ არსად არი:
წინა ღამითვე მან საიდუმლოთ
აიღო ჩუმათ მტრისა საფარი,
სკლიაროსიცა ამხედრებულა,
მტრის დასახვედრათ ამხედრებს დიდ ჯარს,
ცხენს მიაჭენებს ხან აქ, თუ ხან აქ
და ჯარასავით დატრიალებს გარს.
მარჯვნივ აყენებს ბაგრატ თარეულს,
მარცხენა მხარეს—მისვე ძმის ვერეულს
და არ ჰგონიათ, თუ შეხვდებიან
ისინი თავის თანასწორს და ტოლს!
და ორბელიძის საპირდაპიროთ
თვით აფრანიკე გამოსულია...
წვერ-ულვაშს იგლეჯს, მეტი სიფიცხით
ალმური ასდის... გულ მოსულია:
„როგორ თუ ასე მცირე მხედრობით,
ასე თავ-ხედათ ჩემზე მოდისო?!
სიკვდილისაგან ატროებული,
მძებნელი არის სწორეთ ლოდისო!
წინა ომებში გათამამებულს,
მარჯვე ცხენოსანს, სპარსელების ჯარს,
სიტყვით ამხნევებს მოქის თავადი
და თან უქადის მდიდრული საჩუქარს.
იმათაც ნიშნათ შეუპოვრობის
განთიადისა დაჰკრეს საჰარი,
მაგრამ ქართველთა მის საპასუხოთ
გადუშხუილეს მაღლით ისარი.
ის იყო მარჯვნით გამრეკელისგან
სამოცქეულოდ გამონატყორცი;
მას თანვე მოჰყვენ სხვების ისრებიც,
გულის გამპობი და გასაოცი.
ააგეს ფარი, მომართეს შვილდი,
პასუხს აძლევენ სომხებიც ისრით
და გაიმართა ძლიერი ბრძოლა
ყოველი კუთხით და ორივე მხრით.
უანგარიშო და უთვალავი
მოდის ისარი, ვით სეტყვა ცისა...
ჯერ სიჩუმეა... მხოლოთ ხანდისხან
კვნესა მოისმის დაჭრილ კაცისა...
გახურდა ბრძოლა, გრძელდება ომი,
ხან აქ და ხან იქ სისხლი იღვრება...
აჰა, ამოდის მხიარულათ მზეც,
მომაკვდავთ კვნესა არ ეყურება!...
თითქოს ეს იყო დანიშნული დრო:
აქ ორბელიძემ იშიშვლა ხმალი,
ჯარს მიუბრუნდა და მხიარულათ
მათ გადაავლო ნუგეშის თვალი.
მიუხვდენ სარდალს გულის პასუხსა
მხედრები, სიტყვა ალარ აცალეს,
იშიშვლეს მათაც ბასრი მახვილი
და მზის სხივებზე ააპრიალეს.

დასძახეს ყველამ ერთხმად: „ჰკა მაგას!“
დეზი ჰკრეს ცხენებს და გააქანეს
პირ-და-პირ ჯიქურ სპარსელებისკენ
და იერიში ზედ მიიტანეს.
მაგრამ დაუხვდა მათ აფრანიკე,
ლომი, სისხლითა გააფთრებული,
და შეაგება ცხენოსანთ ჯარი,
ფარ მომართებით მომზადებული.
დასცეს კიჟინა და გაიშალნენ
სახელდახელოთ ტრიალ მინდორზე:
ზოგან იბრძვიან ერთად ჯგუფ-ჯგუფათ,
და ზოგან ერთი მიდის მის სწორზე!
კიჟინა, კვნესა, წყევა, მუქარა
და ჩახა ჩუხი ხმა გულ საზარი
არეულია და ფეხით გააქვთ
ცხენებს დაჭრილი და ცოცხალ-მკვდარი!...
აგერ მხედარმა, შავით მოსილმა,
გამოახტუნა მერანი მინდვრათ,
შეათამაშა ჰაერში ხმალი
და დაიძახა თან მედიდურათ:
—„სად ხარ? გამოდი, ნუ იმალები,
თუ რომ გულს გერჩის, ორბელიძეო!
აფრანიკ მქვიან, შენისთანები,
იცოდე, ბევრი დავამიწე!
გამიგონია მეც შენი ქება
განთქმული არის შენი ხმალიო,
მაგრამ აწ უნდა გასინჯო ჩემიც
სიკასკასე და მკლავის ძალიო!
ჩვენ ორში უნდა ერთი და ერთი
მოკვდეს, გათავდეს მითი ომიო!
ნუღარ გვიანობ, გელი, გამოდი,
თუ ამ პირობის შენც ხარ მდომიო!“
ხმალ სისხლიანი, თავზე ჩაფხუტით
თეთრ ცხენზე იჯდა ერთი მხედარი,
რომელ გუნდშიაც შევარდებოდა,
მას თან მოჰქონდა მეხი და ზარი!
თვით ორბელიძე იყო ეს გმირი,
ახალ გუნდს მკაცრათ რომ შეუძახა,
მაშინ მოესმა აფრანიკის ხმა
და სიხარულმა ააცახცახა!
მისი სურვილიც თურმე ის იყო,
რომ აფრანიკეს სადმე შეჰყროდა,
იმას ეძებდა და აქეთ-იქით
სხვა-და-სხვა რაზმში შიჭრით მოჰქროდა.
თავი მოსწია გაქანებულ ცხენს,
ყალყზე შემდგარი მოატრიალა,
ასკუპა, ჯიქურ გამოაქანა,
მივარდა, ბევრი აღარ აცალა
და უპასუხა: - „გმირს არ შეშვენის
დაჩემება და თავის ქებაო!
აჰა ბურთი და ჰა მოედანი,
მზათა ვარ, გასრულდეს თქვენი ნებაო!“



ვილგელმი უჩვენებს გზას ფრანც იოსებს.

21 სანტიმეტრიან ავსტრიელ ზარბაზნის გამაგრება საომარ პოზიციაზედ.

მოღუნეს მშვილდი, მოდევსსაცერე
და ერთმანეთის ტყორცნეს ისარი.
მაგრამ ორივემ სწორის სიმარდით
მას მიაგებეს მათ-მ-თი ფარი
და აიცილეს მითი ფინთიხი,
გულის გამპობი, ხორცის მომწყვლელი!...
მერე გადაგდეს მშვილდები მხარზე
და ხმლებს მოავლეს სამრათ ხელი.
მათი ფარ-გება და კენწლაობა,
სიჩქარით ელვა, გასაკვირველი,
მაჩხუბართ მხოლოთ ბრაზს უმატებდა
და ედებოდათ თან-და-თან ალი!

მოსწყინდათ ფარი და უკუ აგდეს,
დაადგენ ორივ მარტო მიშველ ხმალს:
თავი გადასდევს მათ სასიკვდილოთ,
აღარ იზოგვენ ღონესა და ძალს!
მიაგდო ცხენი ჯერ ორბელიძემ,
ხმალი პირდაპირ შუბლში უსწორა,
მაგრამ დეზი ჰკრა მხედარმა შავ ცხენს,
განზე გაუხტა და აიშორა!...
ხმალმა ჰაერში გაიშხუილა.
წახდა მოქნევა და მკლავის ძალა...
და ხელ მეორეთ ხმლის მომარჯვება
მოპირდაპირემ აღარ აცალა;

F 652

თვითონ მოაგდო ზედ აფრანიკმა
მისი მერანი, მკვირცხლი ფეხ-მალი,
მაგრამ მოქნეულ ხმალს ორბელიძემ
ქვემოდან აჰკრა თავისი ხმალი
და მარილივით გადაუმტვრია!...
შეკრთა აფრანიკ... დაეცა ზარი
და არ იცოდა, თუ რაღა ექმნა:
იდგა უძრავათ, ვით ცოცხალ-მკვდარი!...
გმირთა წესია ლმობიერება:
წყრომა გულისა ქართველს დაუცხრა,
ხმალი ჩააგო ისევ ქარქაშში,
ჩამოეცალა და ასე უთხრა;
—„ნუ გეშინია! ხმლიანი უხმლოს
რომ შეგებრძოლო,—არ მეკადრება,
მხოლოდ თანასწორ იარაღით
შენი დაჩაგვრა მე მენატრება!
და, აბა, ეხლა ნუღა ვუდგებით
ჩვენ ერთმანეთსა ასე შორი-შორს,
აწ სასიკვდილოთ უნდა შევებათ,
ხელი მოვკიდოთ ორივემ ორ-ორს!“
მაგრამ აფრანიკ ყურს აღარ უგდებს,
მარდათ, უეცრათ ზურგი უჩვენა:
დეზი ჰკრა მერანს, მიატრიალა,
ერთი შეჰკივლა და გააჭენა!
რა ნახა ჯარმა მათი სარდალი
გაქცეული და შეშინებული,
თვალი წაუხდა და ზაფრა ნაცემს,
უნებლიეთად გაუტყდათ გული,
შეწყვიტა ომი და გაექანა,
გონს ვერ მოსული, უცბათ დამფრთხალი,
იქითკენ, სითაც შავსა ბედაურს
მიაქანებდა მათი სარდალი.
„ჰკა, მაგას, აბა, არ გაუშვათო!“
შეჰკივლა გმირმა მაშინ ქართველებს,
დაიგრიალა ცხენოსან ჯარმა
და გამოუდგა სომეხ სპარსელებს.
მირბის აფრანიკ თავისი ჯარით;
მირბის და უკან არ იხედება,
მას ორბელიძე მისდევს ჯარითვე,
მისდევს, თან-და-თან ცეცხლი ედება,
დაუახლოვდა უკანა ჯარი,
უნდა დაეცეს თავზე, ვით ზვავი,
მაგრამ აქ წინამ გადაუხვია
და ხეობაში ამოჰყო თავი.
მდევრები მაინც არ ეშვებიან,
ქვესკნელშიაც კი ჩაჰყვებიან თან!
თან შეჰყვენ ერთად ამ ხეობაში
და მიიმალენ... აღარა ჩანან...

აკაკი.

სამგლოვიარო დეპეშები

დონის ნახიჩევანი. მდაბლად თავს ოხრილნი ძმურ სალამს ვუძღვნით ქართველებს, რომლებთანაც საუკუნოებით ერთად ვიკვლევდით მძიმე ცხოვრების გზასა, კულტურისა და უმჯობეს მომავლის სახელით; ერთად ვიტანჯებოდით და ვიყოფდით მწუხარებას. მაგრამ მგოსნის საფლავთან, როგორც გმირის სამარადისო სამყოფელთან ცრემლს ვეღარ დავღვრით. მგოსნები არა კვდებიან, ისინი მეფურად განისვენებენ და ხალხთა საუკეთესო იდეალების ძიების დროს მკვდრეთით სდგებიან! ასეც აკაკი, დიდების შარავანდედით ჰმოსავს თავის ერს და კაცობრიობას; ის არ მომკვდარა, მან შიიძინა და ამ ძილის დროს ნათლად შეისმენს თუ წკრიალა მის ჰანგებს სხვა და სხვა ერი, როგორ მოჰყვება გალობასა, ანუ მისი სიმღერები როგორააყვავილებენ მათ გულში მეგობრობისა, ურთიერთისადმი პატივისცემისა და სიყვარულის ყვავილებს.

სავიკარიო არქიმანდრიტი **გეორგი**,

საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე **ჩალხუშიანი**,

საეკლესიო სამზრუნველოს თავმჯდომარე **სალტიკიანი**,

დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარე **ჩუბარიანი**,

სამხატვრო წრის თავმჯდ. **ჩუქიმიანი**,

სემინარიის რექტორი **მახაზიზი**.

— —

საქართველოს მწუხარებას ვინაწილებთ ამ განსაკუთრებულ მომენტში აკაკის დაკარგვის გამო, რომლის მხატვრულ ნაწარმოებში გამოსჭვივის ქართველი ერის გენიოსობა. ვწუხვართ, რომ არ შეგვიძლიან დავესწროთ დაკრძალვას. ჟვგენი გეგეჭკორს ვვალებს ცოცხალი ყვავილებით. შეამკოს ცხედარი.

ჩხეიძე
ჩხენკელი.

— —

ხაშურის ქართული დრამატიული წრე ღრმად გლოვობს საქართველოს საუკეთესო შვილის აკაკის დაკარგვას.

თავმჯდომარე ინჟინერი **ძნელაძე.**

გამოქცეულები

— Изъ Нахичевани, Эрив.губ., епископъ Нерсесъ телеграфируетъ „Оризону“: „Всѣмъ, обращающимся ко мнѣ я отвѣчаю, что возвращаться въ Тавризъ пока еще равно.“

„Кавк. слово № 21.“

„გამოქცეულების საკითხი ფართოვდება და ბევრს აწუხებს“, ამბობს სომხური გაზეთი თავის მეთაურში („კ. ს.“ № 18) და კი არა ცდილოს დაამშვიდოს რითიმე ისინი, ვისაც ეს აწუხებს, არამედ ყოველდღე უფრო მეტი საბუთი მოჰყავს ამ წუხილის (безпокойства) საფუძვლიანობისა. გარდა ზემოდ მოყვანილი ეპიგრაფისა, რომელიც ეწინააღმდეგება ბ ნ ა ათანასიანცის სიტყვებს — ვითომც გამოქცეული სომხობა დღეიდანვე უნდა შეუდგეს უკან დაბრუნებას. *) „კ. ს.“ აჭრელებულია მუდამ მართლაც ამაღელვებელი ცნობებით, თუ როგორ აწყობენ გამოქცეულებს აქვე, როგორ აწვდიან ადგილობრივ პასპორტებს და სხ. და სხ.

მაგრამ მთავარი საგანი სწორედ იმაშია, რაზეც შეეხო „კავკ. სლოვო“ 23 იანვრის ნომერში. ჩვენი შიში და წინასწარმეტყველება გამართლდა და სომხები ახლა გულახდით აცხადებენ თავიანთ **პოლიტიკურ** მისწრაფებათ ამიერ-კავკასიაში. აბა გაუსინჯეთ კბილი „კავკ. სლოვოს“ შემდეგ სიტყვებს: ამბობენ რომ სპარსეთისა და ოსმალეთიდან გამოქცეულნი უცხოელნი (иностранцы) არიანო- ასეი თუ არა? ფორმალურად — კი, მაგრამ არსებითად — არა. ბოლოს ბოლოს ბევრნის გავრცელებაში მცირე აზიაში რუსეთი ემყარებოდა ჯერ ქართველებს (წარსული საუკუნის დასაწყისში) მერე — სომხებს (საუკუნის ბოლოში), ამიტომ არ შეიძლება მათ ისე უყურონ, როგორც უცხოელებს. ეს სულ ჩვენი **მოკავშირენი** არიან. ასეა საქმე ოსმალეთიდან გამოქცეულებისა. რაც შეეხება სპარსეთიდან გამოქცეულებს — რუსეთის მფარველობამ ქრისტიანებისადმი, ბუნებრივად გამოიწვია უთანხმოება მათსა და მაჰმადიანთ შორის. მფარველნი რომ წამოვიდნენ, დაფარულნი თან გამოჰყვნენ — მაშასადამე არც ისინი არიან უცხოელნი. **„ამ გამოქცეულებს მიმართ, ისევე როგორც ოსმალეთიდან გამოქცეულებს მიმართ, რუსეთის სახელმწიფოს აქვს მოვალეობა და უნდა აასრულოს კიდეც ეს მოვალეობა“.** *)

მაშასადამე რუსეთის სახელმწიფო თავის მცირე აზიურ პოლიტიკაში, ახლა ემყარება სომხებს. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ როდესაც რუსეთის სახელმწიფო ემყარებოდა საქართველოს, ამავე პოლიტიკაში, საქართველო იყო — თავისუფალი სახელმწიფო და თავის პოლიტიკურ ბედს თავისუფლად უერთებდა იმას, ვისაც მოისურვებდა, ე. ი. ის **ნამდვილი მოკავშირე** იყო რუსეთის სახელმწიფოსი. როგორია ამ მხრივ სომხების მდგომარეობა? სომხობას არამცთუ თავისუფალი პოლიტიკური ორგანიზმი არა აქვს, რომლის შეერთება მოენდომებინ-

*) წარსულ ნომერში ჩვენ ნათლად გვქონდა ისიც, რომ ბ. ათანასიანი სულ სხვა და სხვა რამეებს სწერს „კავკ. სლოვოში“ და „შმაგში“.

*) ხაზი ჩვენია. რ. გ.



იაპონელ არტილერიის გადმოსხმა ციწდაოსთან.

ნოს რუსეთის პოლიტიკასთან, როგორც მოკავშირისა, არამედ მას **არცა სურს** რუსეთთან ერთობა და მოითხოვს **ავტონომიას ოსმალეთის პროტექტორატით**. მაშ-სადამე „კავკ. სლოვოს“ შეცდომაში შეჰყავს „მკითხველი“, როცა ივიწყებს სომხის ერის ხელმძღვანელთა სახელმძღვანელო იდეას და იმაზედ ამტყდარ დავას სომხის ყრისას—მილიუკოვთან, რომელიც გამომსახველია განსაკუთრებით სახელმწიფოებრივ ინტერესებისა.

მაგრამ ვთქვათ, რომ „კავკ. სლოვო“ მართალია და ოსმალეთის სომხობა მოკავშირენი არიან რუსეთის სახელმწიფოსი,—ვინ არიან ისინი თვით ოსმალეთში? — **ჯანყებულნი საკუთარ მთავრობის წინაშე**! ჩვენ ეჭვი გვაქვს რომ ოფიციალურად რუსეთის მთავრობა ემყარებოდეს აჯანყებულებს და ოსმალეთთან ომის დასაწყისში კიდევაც უარჰყო მთავრობის უმაღლესმა წარმომადგენელმა კავკასიაში—ასეთი ბრალდება. და თუ „კავკ. სლოვო“ უკეთ იცნობს ზოგიერთ მოვლენას და თამამად ამჟღავნებს კიდეც, ცუდ სამსახურს უწევს იმ საცოდავ სომხობას, რომელიც უდანაშაულოდ „იჟლიტება“ ოსმალეთში და იძულებული ხდება აქ გამოიქცეს. ამას ყურადღება მივაქციეთ არა მარტო ჩვენ, არამედ სომხურ პრესამაც, რომელიც ერთ დროს გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ რუსეთის სომხობის დემონსტრატიული ყოფა-ქცევა იწვევს უდანაშაულოთა ჟლეტას ოსმალეთში; ამ გარემოებამ აიძულა სტამბოლის სომხის კათალიკოსიც გამოეცა კონდაკი: „სომხები ერთგულნი უნდა იყვნენ ოსმალეთის მთავრობისა და ყოველგვარი დახმარება გაუწიონ მას“.

ჩვენ გვინდა ვკითხოთ „კავკ. სლოვოს“—შეიძლება ერთსა და იმავე დროს სომხობა ყავარჯენი იყოს რუსეთის პოლიტიკისა მცირე აზიაში და მათი უმაღლესი სულიერი მამა კი ურჩევდეს ერთგულებას—ოსმალეთისას? ან როგორ უნდა აიმაღლოს ხმა ან ოფიციალურმა რუსეთმა, ან არაოფიციალურმა პრესამ, ოსმალეთის სომხების დასაცავად— თუ კი ისინი აჯანყებულად იქნებიან ცნობილნი. აჯანყებულნი, როგორც შინაური მტრები, უფრო სასტიკად ისჯებიან ხოლმე, ვიდრე გარეშე მტერი, რომელსაც საერთაშორისო კანონი მაინც იცავს. არა, ჩვენ დღესაც არა გვჯერა სომხების აჯანყებისა ოსმალეთში—ეს ესე არ არის, არც შეიძლება იყოს და არც სასურველია სომხობისათვის; და საუბედუროდ უნდა დაუბრუნდეთ იმ ჩვენ პირვანდელ აზრს, რომ აქ სწარმოებს „გამოქცეულთა პოლიტიკა“ და არა მარტო გამოქცევა პოლიტიკისაგან. *)

ამის დამამტკიცებელი საბუთი მრავალია და უპირველეს ყოვლისა თვით „კავკ. სლოვოს“ ხშირი ჭორები, ვითომც სომხებს უმოწყალოდ ჟლეტავდნენ ოსმალეთსა და სპარსეთში. მკითხველს ეხსომება მაგ. ის ჭორი, ვითომც ომის დასაწყისში,—როდესაც ოსმალეთის მთავრობა მეტის-მეტი სიფრთხილით ეკიდებოდა სომხობას რომ თავისკენ მიემხრო—ამოჟლიტეს 17 სომხური სოფელი. როდესაც ჩვენ ეს აღვნიშნეთ—არავინ გააბათილა ჩვენი ცნობა—რომ ჟლეტა უბრალო გამოგონება იყო. აიღეთ ისიც, თუ როგორი ერთგულებითა სცდილობს სომხობა სწორედ აქ მოაწყოს გამოქცეულნი და ამაში დაიხმაროს არა მარტო სომხისა და რუსეთის საზოგადოება, პრესა და სხ., არამედ მთავრობაც. შეადარეთ წინანდელი ომიანობის და მშვიდობიანობის დროს გადმოსახლებულ და აქ დასახლებული სომხობის წარმოებული პოლიტიკაც და თქვენ ნათლად წარმოიდგენთ, თუ რას ესწრაფვება სომხობა რეალურად, კონკრეტულად, წარმოიდგენთ თუ საით იხრება ფაქტიურად მათი ბედის სასწორი.

სომხობა კავკასიაში ეძებს პოლიტიკურ მოკალათების საფუძვლებს და მილიუკოვი ტყუილად კი არ ეკამათებოდა ჯივილეგოვს, რომ „მეც ვიცი ეროვნული მისწრაფებათა მსვლელობა ესლა და მომავალშიო“.

მაგრამ „კავკ. სლოვოს“ მეთაურში ერთი უფრო საყურადღებო ადგილია, რომელიც ამოწმებს არა მარტო „გამოქცეულთა პოლიტიკას“, არამედ ამ პოლიტიკის სისასტიკესაც. ყველამ კარგად იცის, რომ კავკასიაში არ არის თავისუფალი ადგილები სომხის ახალი ტალღის დასასახლებლად და ამიტომ სომხობა უნებურად იძულებული ხდება ესეთი ადგილები გაითავისუფლოს. ჩვენ დარწმუნებულნი

---

*) ეს წერილი უკვე აწყობილი გვქონდა, როდესაც მოგვივიდა უცნაური ცნობა: თურმე სპარსეთიდან გამოქცეული სომხობა სულ ღარიბ-ღატაკებისაგან შესდგება და შეძლებული ნაწილი სომხობისა ადგილიდან არ დაძრულა. რადგან ჩვეულებრივ, ჟლეტისა და გაჭირვების დროს განსაკუთრებით შეძლებულნი არიან ხოლმე და ხალხი კი რჩება—უნდა ვიფიქროთ რომ დღევანდელი ღატაკების გამოხიზვნა გაგრძელდა წინანდელი პოლიტიკისა. ასეთ პოლიტიკას ხელს უწყობს რასაკვირველია ოსმალეთის და სპარსეთის მთავრობაც, რომ სხვას გადაულოცოს თავისი შემაწუხებელი ელემენტი. ამაზედ შემდეგ.

ვართ, რომ მთავრობა ამაში სომხობის მომხრე ვერ იქნება, მაგრამ ომიანობის დროს ბევრი შეცდომაა მოსალოდნელი და სწორედ ამ შეცდომებისაკენა სწევს „კავკ. სლოვოს“ მეთაურის უკანასკნელი სიტყვები: „თურმე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ კი არ მოდის მარტო ტალღა გამოქცეულებისა, არამედ ჩრდილოეთიდან სამხრეთითაც.. ასეთ გაქცეულებზედ ზრუნვა გვიხდება არა ჩვენ, არამედ ჩვენს მტრებსა“.

ვინ არიან ეს გაქცეულები ჩრდილოეთიდან სამხრეთით? რატომ ლაპარაკობს ხოლმე „კავკ. სლოვო“ ყოველთვის ნართაულად, თუ ეს აყოლაა ელისავეტოპოლის გუბერნატორისა, რომელმაც გადაჭრით გამოაცხადა აჭარელები მოღალატეებად, რასაც დამტკიცება უნდა — ეს ვერაფერი სიფაქიზეა პრესისა, თუ აჰყვა ყარსის გუბერნატორის ბრძანებას, რომ ქრისტიანები იკლებენ მაჰმადიანებს და სდევნიან მაშასადამე მათ ოსმალეთისაკენ — ეს-ეც ვერაფერი სიფაქიზეა. პრესა ვალდებულია გულახდით ილაპარაკოს ყოველ საგანზედ და არა გადაკვრით. პრესა მოვალეა პირდაპირ შეხედოს თვალებში სიმართლეს და პირდაპირ დაასახელოს ხოლმე ყველა საგანი თავისი სახელით - იმიტომ ჩვენც გულახდით ვამბობთ, რომ ამ წერილის ეპიგრაფი მაჩვენებელია „გამოქცეულთა პოლიტიკისა“, რომელსაც მიკიბ-მოკიბვით ხელს ვერავინ გადააფარებს.

ამავე გულ ახდილობით ვაცხადებთ პროტესტს ისეთ ამბების შესახებ, როგორებსაც ბეჭდავს მაგ. „კავკ. სლოვო“ № 21-ში, რომ „ერთი რაზმის უფროსმა მოიყვანა არტანუჯიდან ყარსში 550 ბავშვი და ქალი, რომელიც წაართვეს ჩვენმა ჯარებმა **მუსულმანებს**“. ვინ მუსულმანებს? ოსმალებს, აჭარლებს თუ აქაურ თათრებს?—ასეთი არეული მდგომარეობის დროს – ასეთი გამოურკვეველი ცნობები სიკეთეს არას მოუჭანს ქვეყანას. და საზოგადოთაც უნდა აღვნიშნოთ, რომ „კავკ. სლოვოსაგან“ შემოღებული „მართლ-წერა“ არა ჩვეულებრივია კავკასიის პრესისათვის.

რ. ვ.

ჩვენი ცხოვრება

(წერილი პირველი)

ვაჭრობა და მრეწველობა

ქართველები რომ ვაჭრობა-მრეწველობაში, ადებ-მიცემობაში უვიცნი, ანისა და ბანის უცოდინარნი და ძალიერ უკან ჩამორჩენილი ხალხი კართ ამას თქმა, დიდი კამოცნობა და დამტკიცება არ უნდა. ცხადზედ უცხადესია, რომ არა გვაქვს ცოდნა, კამოცდილება, ვაჭრული ალღო და არც თუ ძალიერ თავს ვიცხელებთ და ვცდილობთ!.. უამისოდ კი ჩვენი ცხოვრება უეჭველი, უღონო იყო, არის და იქნება ამ დროიდან, ყოველ ასე კუს ნაბიჯით იქნის ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობა, როგორც დღეს არის. მართალია ამ ბოლო დროს ცოტა არ იყოს თვალი გაახილა ქართველობამ და დაეტყო კამოფხიზლება, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობა აღორძანდა და ნაყოფიერ გზას დაადგა!.. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ქართველს, რომ რაიმე ვაჭრული მომზადება ჰქონდეს. ეს ასედაც უნდა იყოს რადგან ჩვენში, ჯერ დღესაც, როდესაც თითქმის ცოტად თუ ბევრად შევიგენით მნიშვნელობა ვაჭრობა-მრეწველობისა, ვთაკილობთ ვაჭრობას, ვაჭარს არად ვაგდებთ, დავიბინთ და უწის ხომ საკიცხავი წოდება იყო. ან კი ვისა ნახავდით ვაჭარს ჩვენში ქართველს? მთელი ადებ-მიცემობა, ვაჭრობა მრეწველობა უბრალებისა, სომხებისა, უცხოელების ხელში იყო და არის დღესაც. დიახ, სამარცხვინოდ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია დღესაც ვაჭრობა-მრეწველობა! დღესაც ხმირად გაიგონებთ: ვაჭრობას რა დიდი ცოდნა უნდა, საქონელი ითვად იყიდე და ძვირად გაყიდე!.. აი მთელი ცოდნა, მომზადება და მეცნიერება ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობისა! ჩვენში ძალიერ ცოტამ იცის, რომ ამ საგნისათვის არსებობს მთელი ლიტერატურა, მეცნიერება და უმაღლესი სასწავლებლებიც!..

ვერც ერთ დაწინაურებულ ქვეყანას ვერ დამისახელებთ, რომ ვაჭრობა-მრეწველობას პირველი ადგილი არ ეჭიროს ცხოვრებაში?! აიღეთ თუ გნებავთ დღევანდელი საქვეყნო ომი, სისხლის ღვრა კარა იმიტომ არა ხდება, რომ დიდს სახელმწიფოებს არა ჰყოფნით თავიანთი საკვაჭრო ადგილები და ცდილობენ ახალ-ახალი ადგილი მოუპოვონ თავიანთ საკვაჭროს და შეტი შეიძინონ!?. ეს ქვეყანა ყოველთვის უკან ჩამორჩენილია ყოველისაგრეთ და მეტადრე ჩვენთანაც, რომელ ქვეყანაშიაც არ არის განკითარებულ-აღორძანებული ვაჭრობა-მრეწველობა, რადგან ვაჭრობა-მრეწველობა ჰქმნის შეძლებას, აღორძანებს ნიგთიერად ხალხს, ქვეყანას. შეძლებული, ნიგთიერად ღონიერი ადამიანი კერძოდ და ერი საერთოდ სცდილობს მაყოს თავისი ცხოვრება შესაფერისად, უმჯობესად და შვიდებსაც მისცეს სწავლა-განათლება. მაგრამ ნუ წავალთ და გადავვლოთ თვალი ჩვენს მეზობელ ხალხებს: ვინ ეს ვისი შვილები არიან მათი მწერალ-მეტეხი, პუბლიცისტ-საზოგადო მოღვაწენი, ექიმები, ინჟინრები, უდიდესი ვაჭარ-მრეწველნი და სხვანი? უმრავლესობა ვაჭარ-მრეწველის შვილები არიან! ეს ასედაც უნდა იყოს ამა ერთი მიბრძანეთ გეთაყვა ბატონო, არის მქონე, უფლონ, დატაკი ადამიანი კინდა ერი, ხალხი რას ეცდება და რა ცხოვრება უნდა შეექმნას? განა საკმარისი არ

ანის დავსახელდა ჩვენი ქართველობა, რომელნიც კაძ-
ველტოვებულნი, ძალზე დატაკნი ვერ გახურებთ ჩვენ
შვილებს მიეცეთ შესაფერისი სწავლა-ცოდნა და ადგილ?
რაც შეეხება კომერციულ სწავლა ადგილს ჩვენში დიო-
გენის ფანრით საძებარი გახლავთ!..

ისეთი ბუნებით მდიდარი, ეოველისფერით შემკული
ქვეყანა, რაგორიც ანის ჩვენი ვატარა, მაგრამ ტურფა
ქვეყანა თითქმის ანისად ანის. რას დასახელებთ ისეთს,
რომ ჩვენში არ იყოს!? ჩვენი ქვეყანა, რომ ეკონომიკის
ხელში ეოფილიყო ან იყოს საძოთხელ კვლიქცეო-
და. აკარებული მილიონები კი არა მილიარდები დატრა
ალდებოდა. მაგრამ ჩვენისთანა დატაკი, ჩამორჩენილი
ხალხი დღეს იშვიათადა! მაგალითისათვის მოვიგონოთ
ან გახსენებული სარაჯიშვილი, ღრმად გასათლებული,
გასვეთარებული და ევროპიულად მოაზროვნე ადამიანი
იყო ვაჭრობა-მრეწველობაში. ასე დასახასიათა ეკვლამ
ვინც კი იცნობდა და არ იცნობდა სიკვდილის მეშვეო.
მისი საქციელ-დან და საქმიანობიდან მტკიცდება რომ მარ-
თლა მოაზროვნე ადამიანი ეოფილა და კარა გვაწ-
�da რამდენიმე ასი და ათასი ამისთანა ვაჭარ-
მრეწველნი?! ვაი, ვაი, რომ არ გვაწევნდა. ბიბლიათ
ძალიერ წაგვწევდა წინ ნიგთიერად! კარა ჩვენი მეზობელი
სომხები იმით არ დიდგულობენ და
თავი მოაქვთ, რომ მაელი ვაჭრობა-მრეწველობა, ალებ-
მიცემობა იმათ ხელშია, ამით მათ დიდძალი შეძლება
შეიძინეს და ზურგი მაგარი აქვთ?.. ესეც იქით იყოს.
რატომ ანის, რომ მათ და კიდევ მრავალმა ეტნო მო-
სულმა ხალხმა მიდიანება შეიძინეს, იძენენ და ჩვენ კი
ჩვენს სამშობლო ქვეყანაში მშიერები და ტიტვლები
ვართ? კარა სასაცილო არ ანის, რომ დიდათ სამწუხა-
რო არ იყოს!?. ბეჩავად დაგვიდია ბირები, დაგვიგრეფია
გულ-ხელი ან და ბზესავით ფეფლანგავთ ჩვენს ავლა-დიდება
მამულ-დედულს.

ჯერ ხომ სულ არა გვაქვს ანრვითარი საკუთრა და
თუ გვაქვს რამე, ისიც ნამდვილი საკუთრა კი არ ანის,
ნამდვილის ამ სიტყვის მნიშვნელობით, არამედ სადუ-
ბო ან და საქველმოქმედო დაწესებულება! საკვირველი
და საკვალალო ის გახლავთ, რომ სხვები, მოსული ხალ-
ხი, ან სულ ეარაბათად, ან და მცირედის თანხით დიდს
უშველებელს საქმეს შეჭქმნიან ხოლმე და ჩვენ კი საფო-
ლაი ქართველები დიდის ფულითაც ვერას ვაკეთებთ და
ვერას გახურებთ! რამდენიც ვნებავთ მაგალითი იმისა,
რომ ჩვენს ქართველს მეტად მიუცია თითქმის თავისი
მამული, საქონელი, მოსავალი თუ რამ სხვა თავის მე-
ზობელ ურიათ-სომხისათვის და ამ უკანასკნელთ ათ თუმ-
ნათ შეძენილი ესა თუ ის საგანი ერთი ორად და ერთი
სამად გაუყიდნიათ. რაც შეეხება მამულს ხომ ისე ადვი-
ლად ვიშორებთ თავიდან, თითქო მამული ჩვენი მარ-ჩენა-
ლი კი არა ტვირთი იყოს და გვაწუხებდეს. დას მტკი-
ცებლად ჩვენი სიტყვებისა მოვიყვანთ ორ მაგალითს,
რომ გავიგებინოთ თუ რა ადგილ მიცემობის ენარი
და ალდი გვაქვს: ერთმა თავადმა ამ ახლა ხანში მიჰყი-
და ერთი მაწყინარ ამხს, სულ გამორთმეული ექნებოდა
წვრილ-წვრილად ფულად თუ სხვა რამით ათი თუმანი.
ან კარა თვეს, რომ სომეხმა მიჰყიდა იმავე თავადის
ბაღის ორმოცდა ათ თუმნად. მეორე სომეხმა მიჰყიდა
იმავე სომეხს თავისი წილი მოა. ერთ-ერთმანეთზე გა-
მორთმეული წყრილ-წვრილად ასი თუმნი იქნებოდა. ან
კასულა რამდენიმე თვე მთა კარაბადა სომეხს ერგო
ათასი თუმნი! რა ეს, რამდენი ხანა ეარეულა მაგალი-
თები შეიძლება ადამიანმა მოიყვანოს ჩვენი სიბეჩავისა.
ეოველ ზეგა თქმულის გარდა კვლავაც მითქვამს და
ეხლაც უნდა მოგახსენოთ ჩვენი ერთი ეცნაური და
სიათებული თვისებანი: ეოველივე საქმ ს, რაც კი მოგვივ
ფიქრად ან და მიგვახვედრებს ვინმე რასმე, ისეთის ალ-
ტაცებით, ზეიმით, სულით და გულით მივეტანებით,
ისეთის ხალისით ძეს გებია საქმეს, რომ ვინც ან
გვიცნობს გაკვირვებულია და ჰგონია: ჩვენზე მოცალინე,
გამჭრიახი, ამ ხერხებული და გამოცდილი ადამიანის
ზურგზე ან მოიძებნება არავინ, მაგრამ ერამოდენიმე ხნის
შემდეგ რა ხახვს ჩვენებურის დაწყებული საქმის ბოლოს
საშინლად გაკვირვებული, გალეცებული რჩება! მწარედ
ჩაფიქრება, გულმოსული, გაბრაზებული გაიფიქრებს,
უნებლიეთ ხელს ჩაიქნევს და ბაბ მაშინ მიბრძანდით და
ეკითხეთ რანი ვართ ქართველები!?. თეთრი ბრალიკით
თავალსაჩინო კაკალი, რომელის დანახვაც საჭიროა
მხოლოდ, რომ გასტეხავთ ხელში გრჩებათ მხატე, გა-
მოფიტული ნებადი (ხიგაზი) ან და სრულიად ფუჭი..

მართლაც შემჩნეულია, როდესაც რომელიმე
საქმეს საქმეზე მოგვეგონოთ, თითქმის საქმე გაიჩარჩება
და აგერა უნდა შეგიდეს თავის ნამდვილ კალაპოტში,
უცებ დაგვიც ის რადაცა რისხვა ღვთისა, გაგვიგრიდდე-
ბა, აგვეცრუვდება გული ან არა და დავურეკეთ ერთ-
ურთს, ავიტეხა ერთ უშველებელ აურ-ზაურს და ეოველი
ჩვენი ძალდატანით ვცდილობთ ძირი გამოუთხარეთ საქ-
მეს, დავაძალოთ ბირქვე! ერთმანეთის შერით, ჯიბრით,
საერთო საქმის გამო ვამბობ გადადის ძალიერ ხშირად
ბირად შეურაცხყოფაზედაც კი! სიტყვით ჩვეულებრივ ხელით
ადრე და მალე ჩავგლეშა ხოლმე საქმეს!.. გადავალთ
იქვე ბელიერი ოგალი ეოველივე ჩვენს დაწყებულს
საქმეს და დაგვეანახვებია, რომ ეოველივე იგი
ან ეროვნული ნამბრძანებია, ან და ანიცდის ჭეთ-ვარამს,
დანდიანდების და დღეს თუ ხვალ ამოხდება სული ჭირი-
ანი ქაოსიმეგ ოს.. არ შეგეხებით ამჟამად სხვა და სხვა
ჩვენს ხაზოვანდ საქმეებს. ეს სხვა დროს ეხლა კი მო-
ვაგონებთ ჩვენს მკითხველებს: რა იქნა გორ ს საამხანა-
გო ვაჭრობა, მაზხანისა ან გომისა, ეს უკანასკნელი
დანდიანდების და მგონი ეეფრ ეერძო ბირები სარგებ-
ლობენ, ვიდრე საზოგადოებას.. ანა ეს საკვაჭრაები თუნ-
და ჩვენი მეზობელი სომხების ხელში ეოფილიყო? აქამ-
დისინ მოიეინებოდა მთელი ქართველ-კახეთი გახეოფილ-
ებია და მიდიანები დატრი ალებოდა ჩვენ კი ეგ ალგს
ვეზარაღეთ და საკვაჭრაები მიგვეტეთ. ეი ღეს მოდათ
შემოვიდა ჩვენში გიოზერატიული ამხანაგობანი, ჩვენებუ-
რად ქართველურად მიეტანენ ა და მაინტ ერთმანეთ ს
დიდხანს დაიჭერს თავს?!.

ზემოთაც მოგახსენეთ: რა არ მოდის ამ ჩვენ და-
ლოცვილ ბუნებით მდიდარ ქვეყანაში: ეოველგვარი ჭირ-

ნახული, ხე-ტყე, ეგვლი, ერბო, ბეგერცხი, მატყლი, ხილი ყოველგვარი, კაკალი, ლობიო, მუხუდო, თივა, ათასგვარი სადებავი მიწა, სხვა და სხვანაირი ქვა, მადნეულობანი, ძვირფასი წამლეულობის ბალახები და ვინ მოსთვლის რამდენი რამ სხვა და ამა ერთი დამისახელეთ გვაქვს ან მადაზია ან რაიმე საწყობი ზემო ჩამოთვლილ საგნებისაკ? მთელი ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე სულ სხვების ხელშია და რაც რამ გვაბადია შეათედ ფასად და ხშირად მუქადაც მიაქვთ. მითხარით გეთაყვა ვინ არ გაიმდიდრებულა ჩვენში: მანთაშოვ-ფრიდრიხოვ-ზარიანც-ხატისოვებმა და მათმა :თასმა სხვებმა ბაკურიანიდან მოიტანეს ის სიმდიდრე რომლითაც ისინი გოჭობენ და საითაც კი მიიხედავთ მათი უშველებელი სახლებია!? დაბა, დიდად ბატიოვცემულნო მკითხველნო მიიხედ-მოიხედეთ ქალაქ-დაბა სოფლებში, მეტადრე ქართლ-კახეთში და დარწმუნდებით, რომ სადაც რიგიანი სახლია, სამრეწველო-საგაჭრო, მამული, ვენახი თუ ბაღი სულ სხვებისა და ჩვენი მტერია. თუ არის რამე ისიც სათქმელი არ არის!.. ჩვენი დიდი ავლა-დიდება სამრეწველო გახლავთ შავი ქვა და ისიც თუ არა ვცდები მა. მეტებული ნაწილი სხვების, უცხოელების ხელშია. თავი დავანებოთ ამჟამად ჩვენს სხვა და სხვა დარგის აღებ-მიცემობას და გადავიგლოთ თვალი ერთად-ერთ თვალსაჩინო ვაჭრობას.

რ. ფაიფლენიშვილი.

(შემდეგი იქნება)

გადმოხიზნულები

როგორც ოფიციალური ცნობებიც ადასტურებენ, ბოლო დროს ოსმალეთიდან და სპარსეთიდან კავკასიაში დიდძალი სომხობა გადმოსახლდა. ამბობენ, რომ გადმოხიზნული სომხების რიცხვი 120—150 ათასი იქნებაო. ნაწილი გადმოსახლებულებისა თბილისში დაბინავდა, ქალაქის სხვა და სხვა უბნებში. გარდა სომხებისა ჩვენს დედა ქალაქში ამჟამად იმყოფება სამიათასამდე სპარსეთიდან გამოქცეული აისორი.

გადმოხიზნულთა საკითხი მეტად რთული და სერიოზული საკითხია, მაგრამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებს იგი დღევანდელ პირობებში. ჩვენ რასაკვირველია უწინარეს ყოვლისა გვაინტერესებს ეს საკითხი იმდენად, რამდენადაც გამოხიზნულები გადმოდიან საქართველოს მიწა-წყალზე და დროებით თუ სამუდამოდ დაბინავდებიან აქ. სრულიად დარწმუნებულნი უნდა იყვნენ თავის სამშობლოდან გამოქცეული, უსახლკაროდ დარჩენილი სომხები, აისორები და სხვები, რომ კარგად გვესმის მათი უმწეო მდგომარეობა, სულით და გულით თანაუგრძნობთ გაჭირვებასა და განსაცდელში და დავეხმარებით, გარემოება რამდენად ხელს შეგვიწყობს. მაგრამ თვითონაც ნათლად უნდა გაითვალისწინონ გადმოხიზნულებმა ეხლანდელი საერთო ვითარება და ქართველი ხალხის მდგომარეობა და ნურავინ მოგვთხოვს იმას, რაკი ... ეწინააღმდეგება ჩვენი ერის აწმყოს და მომავალს. უპირველესად არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორი წლის მოუსავლობისა და ეხლანდელი უმაგალითო ომიანობის გამო დღეს ჩვენი ცხოვრება მეტად გაჭირვებულია, საკვები ძნელი საშოვარია და გარედან შემოტანაც ძალზე გაძნელებულია და მალე ეგებ სრულიად მოუხერხებელიც გახდეს. ამ პირობებში ჩვენს ტერიტორიაზე ადგილობრივ მკვიდრთაც კი უჭირთ თავის შენახვა და მოვლა და ეხლა კიდევ რომ ჩვენი ქვეყნის მუდმივ მობინადრეებს გამოხიზნულები მიემატნენ, ჩვენი მდგომარეობა სწორედ რომ აუტანელი იქნება ჩვენ საკუთარი საჭიროება და მოთხოვნილებაც ბევრი გვაქვს დღეს და სხვის გასაჭირს კიდევ ვერ მივიღებთ ჩვენს თავზე...

აბის მეორე გარემოებაც, უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი. თბილისის გუბერნიის ზოგიერთი ადგილი დღესაც მეტად აჭრელებულია ეროვნულად. ბეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში გადმოხიზნულთა მეოხებით ჩვენ დავკარგეთ სრულიად ახალქალაქის მაზრა; გადმოხიზნული მრავალი დასახლდა აგრედვე ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში. ეხლა რომ ახალი გამოხიზნულები ჩაგვისახლდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ეს საქმეს მეტად გაგვირთულებს და გაამწვავებს. ეს დიდს საფრთხეს განუმზადებს ჩვენს ეროვნულს მდგომარეობას და არ შეგვიძლია ყოველის ღონით წინააღმდეგობა არ გაუწიოთ ჩვენი მიწა-წყლის აჭრელებას, რომელიც ქართველ ერსაც ძლივს ჰყოფნის...

ჩვენი ეროვნული ინტერესი და გონიერი სიფხიზლე მოითხოვს, რომ საფრთხე წინასწარ ავიცდინოთ თავიდან. („ს. ფ.“)

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.

ყოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურ და სალიტ. ჟურნალ

წელიწადი მეოთხე.

„ფონი"-ზედ.

ყოველკვირეულად გამოდის.

წლიური ფასი ხუთი მან., ექვსი თვით სამი მან.

ცალკე ნომერი ორი შაური.

ყოველკვირეული საორშაბათო საპოლიტიკო,

სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„შადრევანი"

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის. გაზეთი ღირს 1 წლით — 2 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით — 1 მან. 25 კაპ., ერთი თვით - 25 კაპ. საზღვარგარეთ ორჯერ მეტი. კანტორის და რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія „Сорапанъ" для „**Шадревани**". ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით. Тифлисъ, Типографія „Сорапанъ" **Александру Г. Мумладзе.**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა არ. მ. კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.